საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 15 ივლისი, 2021 წელი

დრო: 16:00 -17:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
3. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი“
4. ირინა სვანიძე - მწვანე ალტერნატივა
5. ნატო არღვლიანი - ,ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის მშვიდობის სამოქალაქო პლატფორმა“
6. რუსუდან სიმონიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
7. თამაზ ვაშაკიძე - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
8. მანანა დევიძე - კავკასიის ეკოლოგია

განსახილველი საკითხები:

1. ქვეჯგუფების ფორმირების საკითხი
2. სექტორალური შეხვედრების თემატიკის განსაზღვრა და დაგეგმარება;
3. ჯგუფის მუშაობის 2 თვიანი გეგმის ჩამოყალიბება.

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა, ნუგზარ კოხრეიძემ. მან სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგით გათვალისწინეული საკითხები.

პირველ საკითხად განიხილეს მესამე სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ქვეჯგუფების

ჩამოყალიბების საკითხი. მსჯელობისას გამოიკვეთა სამი მიმართულება, განისაზღვრა, რომ ქვე-ჯგუფები ჯგუფის თემატიკის მიხედვით ჩამოყალიბდება შემდეგ თემატიკებზე: ენერგეტიკა, ტრანსპორტი, კლიმატის ცვლილებები. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ქვეჯგუფების ფუნქციონირება არ შემოიფარგლება მხოლოდ მესამე ჯგუფის წევრების ჩართულობით. მათი შეხვედრები ინტერჯგუფური იქნება.

ქვე-ჯგუფების ფორმირების საკითხზე მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ ინიცირებული ქვე-ჯგუფების სრული ფორმირების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნება სექტემბერში, როცა: დასრულდება პლატფორმის (მათ შორის ჯგუფის) წევრების მონაცემთა ბაზის განახლების პროცესი და ყველა სექტორი იქნება სრულად წარმოდგენილი ჯგუფის შეხვედრაზე.

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე იმსჯელეს სექტორული შეხვედრების დაგეგმვის შესახებ. ჯგუფის წევრების აქტიური ჩართულობის შედეგად განისაზღვრა რამდენიმე საკითხი, რომელზეც უნდა ჩატარდეს სექტორული შეხვედრები უახლოეს პერიოდში. ეს საკითხებია:

1. გზშ და სგშ განხორციელება ქვეყანაში;
2. წყალი - საუზო მართვის სისტემა;
3. ენერგეტიკული ბაზარი;
4. შავი ზღვის სამოქმედო გეგმა.

სამუშო ჯგუფის შეხვედრის ფარგლებში, მოკლედ ჩამოყალიბდა და განისაზღვრა მესამე სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბდა 2 თვის სამუშაო გეგმა, რომელიც მოიცავს აგვისტო -სექტემბერი პერიოდს:

- თანაკოორდინატორების შეხვედრები რეგიონების მიხედვით ჯგუფის წევრ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან;
- სექტორალური (მინიმუმ 2 შეხვედრის) ორგანიზება ამ პერიოდში;
- ჯგუფის წევრ ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში და სხვა ტიპის აქტივობებში ჯგუფის ჩართვა;
- ინტერჯგუფური შეხვედრების ორგანიზება ტყიბული, კაზრეთისა და ჭიათურის საკითხებზე;
- ბათუმის ტრასის გზშ შესწავლა და ვითარებაში გარკვევა;
- ჯგუფის წევრი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ ბრიუსელის ოფისისთვის ინფორმაციების მიწოდება, მათ ნიუსლეტერში გამოქვეყნებისათვის.
- 19 ივლისის შემდეგ (კონფერენციის “საქართველოს ევროპული გზა” კვალდაკვალ) ჯგუფის შეხვედრის ორგანიზება.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე